შინაგან დაავადებათა #2 დეპარტამენტი

პროფესორი ირმა ჭოხონელიძე
დეპარტამენტის ხელმძღვანელი



ასოცირებული პროფესორი ნონა კაკაურიძე

ასისტენტ-პროფესორი დარეჯან გაბუნია

ასისტენტ-პროფესორი მაკა გეგენავა

შინაგან დაავადებათა #2 დეპარტამენტი

თსსუ-ის შინაგანი მედიცინის მიმართულების შინაგან დაავადებათა #2 დეპარტამენტი მემკვიდრეა თსუ–ის 1921 წელს დაარსებული "ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის".

კათედრის გამგეები იყვნენ პროფესორები სპირიდონ ვირსალაძე, მიხეილ წინამძღვრიშვილი (1930-1956), კონსტანტინე ვირსალაძე (1956-1973).
1973 წელს, სასწავლო პროცესის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, მის ბაზაზე ჩამოყალიბდა ორი თერაპიული კათედრა: "ჰოსპიტალური თერაპიის" და "ჰოსპიტალური თერაპიის კათედრა სუბორდინატორთათვის".

პირველს სათავეში ჩაუდგა პროფესორი გივი (გრიგოლ) ბახტაძე, მეორეზე მოღვაწეობა განაგრძო პროფესორმა კონსტანტინე ვირსალაძემ.

1994 წლიდან კათედრას განაგებს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ალექსანდრე ქისტაური, რომელიც 2006 და 2009 წლებში არჩეულ იქნა შინაგან სნეულებათა მიმართულების სრულ პროფესორად, ხოლო 2015 წელს შინაგან დაავადებათა დეპარტამენტის პროფესორად.

დიპლომამდელი სწავლების პროგრამით აქ მზადებას გადიან მედიცინის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტები. მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანია კათედრის, ამჟამად კი დეპარტამენტის წვლილი ქართული კლინიკური მედიცინის განვითარებაში. შესრულებულია ფუნდამენტური და აქტუალური სამეცნიერო შრომები ზოგად თერაპიაში, კარდიოლოგიაში, გასტროენტეროლოგიაში, პულმონოლოგიაში, ნეფროლოგიაში, სამხარეო პათოლოგიაში, ენდოკრინოლოგიაში, რევმატოლოგიაში, თერაპიულ ოსტეოლოგიაში. კათედრის წევრთა მიერ გამოიცა მრავალი მონოგრაფია და სახელმძღვანელო. ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის ძალისხმევით დაარსდა პარაზიტოლოგიის და კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსიტუტები.

შინაგან დაავადებათა #2 დეპარტამენტი

1974 წლიდან აქ მოღვაწეობდნენ პროფესორები იოსებ ჯავახიშვილი, ალექსანდრე ანასაშვილი, ბონდო ქობულია, დოცენტები ვარლამ ბორჯაძე, ავთანდილ ქურხული, მურმან მამალაძე, ნათელა გოგიბერიძე, მანანა ზოდელავა, ასისტენტები ანა მექვაბიშვილი, ლუბა თევდორაშვილი, მერაბ ქავთარაძე, ირაკლი ტატიშვილი, ირინა ანდრონიკაშვილი, ირინა კაპეტივაძე, ასისტენტ– პროფესორები მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ნატო ქათამაძე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ნანა ბეგიშვილი, მედიცინის აკადემიური დოქტორი მარინა ჯიბლაძე, უფროსი ლაბორანტები ლია ნინუა, ნანა ქოქრაშვილი, ქეთევან ზაქარაია.

2021 წლის სექტემბრიდან შინაგან დაავადებათა დეპარტამენტს N2 ხელმძღვანელობს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ირმა ჭოხონელიძე.
ამჟამად მოღვაწეობას აგრძელებენ ასოცირებული პროფესორი ნონა კაკაურიძე, ასისტენტ– პროფესორები დარეჯან გაბუნია, მაკა გეგენავა, ლაბორანტი ქეთევან ზაქარაია.
პროფესორი ალექსანდრე ქისტაურს მიენიჭა თსსუ-ის ემერიტუსის წოდება.